აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო სხდომის

# ო ქ მ ი № 10

3 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

## დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე;

2. დადგენილება ამომრჩევლის მოწმობის გაცემისა და ამომრჩევლის მოწმობის საშუალებით ხმის მიცემის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

3. დადგენილება ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის თაობაზე;

4. სხვადასხვა

სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა
კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, ქეთევან ჯიქია, სერგო დუმბაძე, მამუკა წულუკიძე, ლევან ჩავლეიშვილი. სხდომას არ ესწრებოდა  კომისიის წევრი ს.ჩხაიძე .

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ.
სხდომაზე განსახილველ დღის წესრიგს ეყარა კენჭი და ერთხმად იქნა დამტკიცებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის-განკარგულების პროექტი ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. პროექტს თან ახლდა ამომრჩეველთა ნაზექდ სიაში შესწორების შეტანის განცხადების ფორმა-ნიმუში, რომელიც კომისიის წევრებს ჰქონდათ დარიგებული. ნიმუშის ფორმა მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ. განკარგულების პროექტი დადგა კენჭისყრაზე, მონაწილეობა მიიღო ყველა წევრმა, კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის-დადგენილების პროექტი ამომრჩევლის მოწმობის გაცემისა და ამომრჩევლის მოწმობის საშუალებით ხმის მიცემის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფალავამ. პროექტის გასაცნობად კომისიის წევრებს დარიგებული ჰქონდათ ინსტრუქცია-ამომრჩევლის მოწმობის გაცემისა და ამომრჩევლის მოწმობის საშუალებით ხმის მიცემის წესი. კომისიის წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ინსტრუქციას. პროექტის გარშემო შენიშვნები და შეკითხვები არ გამოთქმულა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა წევრმა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტს კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის-დადგენილების პროექტი ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის თაობაზე წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფალავამ. მან განმარტა, რომ ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას შემოხაზავს მისთვის სასურველ საარჩევნო სუბიექტის ნომერს. პროექტის გარშემო შენიშვნები არ გამოთქმულა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა წევრმა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტს კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფალავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე